



საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45



GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

1.02.2019 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №12

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე**

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N1 დადგენილების დანართის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის ანგარიშის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფს შეუწყდეს უფლებამოსილება.
2. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს ჯგუფის წევრებს.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ზუგდიდი, რ.ლალიძის ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია